ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2763281

ნომერი: AR1390695

თარიღი : 01.04.2016

გაცემის თარიღი : 10.08.2016

გაცნობის თარიღი : 10.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 25 , (ნაკვეთი N5/35) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 25 , (ნაკვეთი N5/35) ; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N29 ; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N33 ; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N31; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N35 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 25 , (ნაკვეთი N5/34) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ჯაფარიძე პ/ნ 01017005727
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 52ბ

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას გაცნობებთ, იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარუდგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საჭიროა გამოსწორდეს შემდეგი ხარვეზები:

1. წარმოსადგენია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა თანხმობა უშუალოდ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების თაობაზე. გთხოვთ წარმოადგინოთ შესაბამისი თანხმობები. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შემთხვევაში – შემდეგი სახით:

– ამონაწერ(ებ)ი და თანხმობის აქტ(ებ)ი წარმოდგენილი შეთავსებული სახით შემდეგნაირად: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული თანხმობა (ხელმოწერილი და ორგანიზაციის ბეჭდით ან ნოტარიულად დამოწმებული), უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი - მესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, გამგეობის გადაწყვეტილება ან სხვა (ხელმოწერილი და ორგანიზაციის ბეჭდით ან ნოტარიულად დამოწმებული), დაჯგუფებული სახით.

ცალკეული მესაკუთრის შემთხვევაში:

– ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მესაკუთრის, იმედა კახიანის (საკადასტრო კოდები: 01.13.05.005.053 და 01.13.05.005.052) მიერ გაცემული შესაბამისი თანხმობა (დამოწმებული ნოტარიულად) დაჯგუფებული;

2. შესაბამისობაში იქნას მოყვანილი განმარტებით ბარათსა და საპროექტო გამიჯვნის სქემაზე მოყვანილი საკადასტრო ერთეულის 01.13.05.005.034 გამიჯვნის შედეგად მიღებული ფართები;

დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს tas.ge–ზე ამავე განაცხადის დახარვეზებულ ან საჭიროების შემთხვევაში დამატებით ველში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია და შესწორებული ხარვეზი სამსახური გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ამასთან, გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის გასწორებული ვარიანტის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.